

# მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე

დღეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დიდი დღესასწაულია და მას მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად უდიდესი შემოქმედებითი შრომისა და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ხვდებიან ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის მრავალეროვანი ხალხები.

ამ დიდ დღესასწაულს ჩვენი ქვეყნის მშრომელები აღნიშნავენ შვიდწლედის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის გაჩაღებული შრომითი აღმავლობის პროცესებში. ისინი, მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, მთელ ძალებს ძაბავენ იმისათვის, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში. უმაგალითო აყვავებასა და განვითარებას განიცდის სოციალისტური მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და კულტურა.

პარტიის მიერ დასახული ამოცანა—დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ, დღითიდღე ხორცს ისხამს, ხოლო მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში ჩვენს ქვეყანას სამართლიანად უკავია პირველი ადგილი მსოფლიოში. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდეს მიღწევებზე ყველაზე დამაჯერებლად ის ფაქტიც ლაპარაკობს, რომ პირველად მსოფლიოში სწორედ ჩვენმა ქვეყანამ შეძლო კოსმოსში გაეშვა ჯერ დედამიწის, ხოლო შემდეგ მზის ხელოვნური თანამგზავრი და ამით რეალური წინამძღვრები შექმნა ადამიანის მიერ კოსმოსური სივრცის დაპყრობად.

ეს დიდი წარმატებანი შედეგია ხალხზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გამუდმებული ზრუნვისა, შედეგია იმისა, რომ ხალხი თვითონაა თავისი თავისა და ქვეყნის ბატონ-პატრონი. ჭეშმარიტად, ეს არის ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული შრომის ზეიმი!

დღითი დღე მტკიცდება და იზრდება სოციალიზმის ავტორიტეტი მსოფლიო მასშტაბით. ეს, უპირველესყოვლისა, შედეგია იმ უდიდესი მიღწევებისა, რომელიც მოიპოვეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა კულტურული და სამეურნეო მშენებლობის ყველა ფრონტზე. მსოფლიოს მშრომელი მასები კარგად ხედავენ, რომ მხოლოდ სოციალიზმის ქვეყნები გადაწყვეტენ დადებითად მათს სასიცოცხლო პოლიტიკურსა და ეკონომიურ ინტერესებს. ამიტომ ისინი იმედის თვალით შეჰყურებენ სოციალიზმის ბანაკს, რომელიც დღითი დღე მტკიცდება და გაბედულად მიდის წინ, მარქსიზმ-ლენინიზმის გზით, კომუნიზმისაკენ.

იმ დროს, როცა სოციალიზმის ბანაკის ქვეყნები დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით უდიდეს სამშვიდობო პოლიტიკას განახორციელებენ და ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუწყონ საერთაშორისო ურთიერთგაგებასა და დაძაბულობის შენელებას, სულ სხვა პოზიციას ადგანან ინგლის-ამერიკისა და მათთან სხვადასხვა სამხედრო ბლოკებში გაერთიანებული კაპიტალისტური ქვეყნების აგრესიული წრეები. ისინი ყოველგვარად ცდილობენ არ დაუშვან საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და აშკარად გამოდიან ომის პროპაგანდისტებად — სოციალიზმის ბანაკზე ჯვაროსნული ლაშქრობისათვის. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს მათი სურვილი, მსოფლიოს ხალხებს სძულთ ომი, რადგან მათ უკვე ორჯერ განიცადეს მსოფლიო ომის შემაძრწუნებელი შედეგები და მომავალში ისინი არავის აღარ მისცემენ უფლებას ახალი ომი მოახვიონ თავზე კაცობრიობას.

ამიტომ, აღნიშნავენ რა ტრადიციული საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, მთელი მსოფლიოს მშრომელები მჭიდროდ ირაზმებიან მშვიდობის დაცვის დიადი დროშის ქვეშ, რომელიც მტკიცედ უჭირავს ხელში სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებს საბჭოთა კავშირის მეთაურობით.

გაუმარჯოს პირველ მაისს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობის დღეს!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მერვე წელი

№ 11 (252)

პარასკევი.

1 მაისი, 1959 წ.

ფასი 20 კაპ.

## საპირველმაისო

მზეს გადაუწვავს ცაში ღრუბლები
და სხივთა გვირგვინს გვახურავს თავზე;
მიწა გვიღიმის თაიგულებით,
სუფევს სიამე და სილამაზე...

სათუთად გვკოცნის სიო ფრთამალი,
გულში შემოაქვს სურნელი ვარდის.
ქუჩა ზეიმობს დროშებმაღალი,
გზებზე სიცოცხლე ზეიმით დადის.

გვიხმობს ორკესტრი ტკბილი მუსიკით,
ამაყ გუგუნით სულში ჩამწვდენი;
დათვლას შევძლებო—კაცი ნუ იტყვის,
ცას არ უნახავს მტრედი ამდენი!

ხალხის დინებას არ აქვს საზღვარი,
არც ბაირაღთა კაშკაშა ნათელს;
თვალებში ბრწყინავს მაისის დარი,
დღეს მთასა და ველს სიმღერა მართებს.

ვიქნებით მარად ახალგაზრდები,
შევედარებით არწივთა მართვეებს;
პარტიას—ბელადს არ დავზარდებით,
ის ხომ მთვარეზეც სავალს გვინათებს!

მარტო მაისის დროშებს კი არა,
გულებსაც ძმობის დროშებად გავშლით,
მშვიდობა ხალხებს,
დიდება მარად
ქვეყნად გულების მეგობრულ კავშირს!

გურამ ბაიდოშვილი



სურათზე: ქიმიის ფაკულტეტის ფიზიკური ქიმიის სპეციალობის V კურსის ფრიადოსანი სტუდენტი შოთა საბელაშვილი მუშაობს სადიპლომო თემაზე — „წყლის ორთქლის ადსორბციის კინეტიკა ბუნებრივ და გააქტივებულ ახკანგელზე".

## კონფერენცია სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის შედეგებზე

ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის 54 სტუდენტმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე პედაგოგიური დახელოვნების მიზნით პრაქტიკა გაიარა თბილისის სხვადასხვა სკოლებში. პრაქტიკას ხელმძღვანელობდნენ ფაკულტეტის გამოცდილი მეთოდისტები, პროფესორები: გ. გოზალიშვილი, კ. გრიგოლია, დოცენტები: ნ. ქადეიშვილი, გ. ჟორდანია, ვ. მაჭარაძე, ი. ბერაძე, ვ. კოპალიანი და სხვ.

პედაგოგიური პრაქტიკის დამთავრებასთან დაკავშირებით ფაკულტეტის დეკანატისა და პარტიული ბიუროს ინიციატივით ამას წინათ ჩატარდა შემაჯამებელი კონფერენცია, რომელმაც განაზოგადა მიმდინარე წლის გამოცდილება და დასახა ღონისძიებანი პედპრაქტიკის შემდგომი გაუმჯობესების თვალსაზრისით.

კონფერენცია გახსნა და შესავალი სიტყვა გააკეთა ფაკულტეტის პარტიული ბიუროს მდივანმა დოც. ზ. შველიძემ. მან აღნიშნა, რომ სკკპ XXI ყრილობამ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა წინაშე დასახა უდიდესი ამოცანები, რომლებიც გვავალებენ გადაჭრით გავაუმჯობესოთ ფაკულტეტზე სასწავლო-პედაგოგიური მუშაობა.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა ფაკულტეტზე პედაგოგიური პრაქტიკის საერთო ხელმძღვანელი მეთოდისტი დოც. ნ. ქადეიშვილი. მან აღნიშნა, რომ IV კურსის სტუდენტთა უმრავლესობა დიდი პასუხისმგებლობითა და ინტერესით ეკიდებოდა სკოლაში მუშაობას. ისინი კარგად გაეცნენ სკოლის სასწავლო-პედაგოგიურ პროცესებს. ამასთან, მომხსენებელი შეეხო პრაქტიკის ხელმძღვანელობის საკითხს და აღნიშნა, რომ სტუდენტები არ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ სავალდებულო პრაქტიკით, რადგანაც მათი პედაგოგად ჩამოყალიბებისათვის საკმარისი არაა პრაქტიკისათვის განკუთვნილი დრო. ამიტომ ისინი სისტემატურად კავშირში უნდა იმყოფებოდნენ სკოლასთან და დაუღალავად იმაღლებდნენ პედაგოგიური დახელოვნების დონეს, სწავლობდნენ სკოლის მუშაობის საკითხებს.

საუნივერსიტეტო პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელმა დოც. ალ. გორგაძემ ვრცლად ილაპარაკა პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზაციის საკითხებზე. გამოთქვა სურვილი, რომ მომავალი წლისათვის პედპრაქტიკის გასავლელად შერჩეული იქნას ისეთი სკოლები, რომლებსაც სათანადო სასწავლო ბაზა მოეპოვებათ და ჰყავთ მაღალკვალიფიციური ისტორიის მასწავლებლები.

სიტყვებით გამოვიდნენ მეთოდისტები პროფ. გ. გოზალიშვილი, დოც. გ. ჟორდანია, მე-60 სკოლის ისტორიის მასწავლებელი ა. ზაქარეიშვილი, სტუდენტები: ვ. ტაბატაძე, ნ. ხაფავა, გ. ნადირაძე, ა. ნაკაიძე, უ. დეკანოსიძე. ისინი ვრცლად შეეხნენ პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარების ცალკეულ საკითხებს და წამოაყენეს წინადადებანი პრაქტიკის შემდგომი გაუმჯობესების თვალსაზრისით.

თავის საბოლოო სიტყვაში დოც. ზ. შველიძემ შეაჯამა კონფერენციის მუშაობა. მან მადლობა გადაუხადა საშუალო სკოლების მასწავლებლებს, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი ცოდნა და გამოცდილება ჩვენი სტუდენტების პედაგოგიური დახელოვნების თვალსაზრისით.

გ. ჟუღნია,
ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

## ლენინის წიგნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიების კრებული

ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა წერილების კრებული „50 წელი ვ. ი. ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის" გამოქვეყნებიდან".

კრებულში მოთავსებულია ს. ლარცულიანის, პ. გუჯაბიძის, ა. გონაშვილის, ტ. ჭელიძის, შ. გაბილაიას, მ. მირიანაშვილის, ლ. გოკიელის, შ. შარაშენიძის, გ. პაპალაშვილის, ს. სახაროვისა და ლ. გორგილაძის სტატიები.

კრებული გამოსაცემად მომზადებულია უნივერსიტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის მიერ.

# უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეს 10 წელი შეუსრულდა



სურათზე: უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოს პრეზიდიუმში.

## ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრეს

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ულოცავს ი. ბ. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრეს მისი დაბადების ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს მომავალ წარმატებებს ახალგაზრდა მწერლების, პოეტების, კრიტიკოსების იდეური აღზრდის საქმეში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრეს დიდი წვლილი მიუძღვის იმ ახალგაზრდა შემოქმედი კადრების აღზრდასა და ჩამოყალიბებაში, რომლებიც დღეს ქართული საბჭოთა ლიტერატურის საიმედო ძალასა და მწერლობის უფროსი თაობის ცვლას წარმოადგენენ. უნივერსიტეტის ლიტერატურულმა წრემ, არსებობის ათი წლის მანძილზე, ბევრ ახალგაზრდა პოეტს თუ მწერალს ხელი შეუწყო ნიჭის გაღრმავებასა და გამტკიცებაში, სწორი გზა მისცა მის გატაცებას, დაუდეგრობასა და ძიებას. დღეისათვის უკვე ცნობილმა მრავალმა მწერალმა და კრიტიკოსმა პირველი წრთობა უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრეში მიიღო, ხოლო პირველი ნათლობა „პირველი სხივის“ ფურცლებზე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოთქვამს, რომ ი. ბ. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული წრე მუდამ დაიცავს ჩვენი მწერლობის მებრძოლ, სამოქალაქო პათოსს და კვლავაც აღზრდის სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე ქართული საბჭოთა ლიტერატურის საიმედო ცვლას.

არ დავივიწყოთ და ყოველთვის გვახსოვდეს პარტიისა და ხალხის მოწოდება:

„მეტი გამბედაობა ძიებაში, მეტი ყურადღება ცხოვრებისადმი, ადამიანებისადმი, უფრო დაბეჯითებით მიმართეთ თანამედროვეობას!“

დაე, თქვენი ახალგაზრდული ენერგია, კეთილშობილი საქმიანობა ემსახურებოდეს კომუნისტური საზოგადოების ბედნიერი ადამიანის აღზრდას—ეს იქნება საუკეთესო პასუხი იმ ზრუნვისა, რასაც ჩვენ გვიწევს მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი**



სურათზე: საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. თ. ბადურაშვილი (მარჯვნივ) უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის ხელმძღვანელს ბ. ჟღენტს საზეიმო ვითარებაში გადასცემს საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელს, რომლითაც დაჯილდოვდა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე.

## ახალგაზრდა მწერალთა წრის 10 წლისთავი

უკანასკნელ წლებში ქართულ ლიტერატურას უაღრესად ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლების მთელი თაობა შემოემატა. ამ ახალგაზრდობამ გამოავლინა თავისი მკაფიო სახე და თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში, სალიტერატურო პრესაში, ჩვენი გამომცემლობების პროდუქციაში. დღეს უკვე შეუძლებელია მსჯელობა ქართული ლიტერატურის რომელიმე ჟანრის მდგომარეობაზე, რომელიმე მნიშვნელოვან შემოქმედებით საკითხზე ამ ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებითი მიღწევების გაუთვალისწინებლად.

ახალგაზრდა მწერალთა იდეურ-შემოქმედებითი წრთობისათვის მუშაობის ყველაზე ნაყოფიერ ფორმას წარმოადგენს ლიტერატურული გაერთიანება, სადაც ლიტერატურული ახალგაზრდობა სისტემატურად და კოლექტიურად განიხილავს გაერთიანების წევრთა შემოქმედების ნიმუშებს და კვალიფიციურ ხელმძღვანელთა დახმარებით მსჯელობს მხატვრული შემოქმედების სპეციფიკურ საკითხებზე. ასეთ გაერთიანებას წარმოადგენს ჩვენი უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე, რომელმაც თავისი არსებობის 10 წლის მანძილზე დააგროვა მნიშვნელოვანი შემოქმედებითი გამოცდილება და თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა როგორც ჩვენს რესპუბლიკაში არსებულ ანალოგიურ გაერთიანებათა შორის, ისე საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლების ლიტერატურულ-შემოქმედებით წრეებს შორისაც.

ათი წლის წინათ უნივერსიტეტში მუშაობა დაიწყო ახალგაზრდა მწერალთა წრემ. წრის დაარსების ინიციატივა ეკუთვნის უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს, აკად. ნიკო კეცხოველს. იგი სისტემატურად ესწრებოდა წრის სხდომებს და მონაწილეობდა ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებების განხილვაში. მისი დახმარებით წრემ 1950 წლიდან დაიწყო თავისი ბეჭდვითი ორგანოს — ალმანახ „პირველი სხივის“ გამოცემა. რექტორი პირადად ხელმძღვანელობდა ალმანახის სარედაქციო კოლეგიის მუშაობას და მონაწილეობდა დასაბეჭდი მასალების შერჩევასა და დამუშავებაში. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ასეთმა აქტიურმა მხარდაჭერამ ხელი შეუწყო ახალგაზრდა მწერალთა წრის ავტორიტეტის ზრდას, მისი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას.

უკვე 10 წელიწადია, რაც უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე რეგულარულად იკრიბება კვირაში ერთხელ, კოლექტიურად განიხილავს თავის წევრთა ახალ ნაწარმოებებს, მსჯელობს ჩვენი მწერლობის აქტუალური შემოქმედებითი პრობლემების გარშემო. ასეთი მუშაობის შედეგად შერჩეული და დამუშავებული მასალა ქვეყნდება ალმანახ „პირველ სხივში“. უკვე გამოვიდა ალმანახის 6 ტომი, რომლებმაც ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვიეს. მათ მაღალი შეფასება დაიმსახურეს, როგორც რესპუბლიკურ, ისე ცენტრალურ საკავშირო პრესაში. უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეში აღიზარდა მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი, პროზაიკოსი, საბავშვო მწერალი, მხატვრული თარგმანის ოსტატი, ლიტერატურის კრიტიკოსი და ისტორიკოსი, რომელთაც ამჟამად საპატიო ადგილი უჭირავთ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. ამ წრეში აღზრდილი ლიტერატორები ახლა შეადგენენ ქართული მწერლობის ახალი თაობის ძირითად ბირთვს. ისინი აქტიურად მონაწილეობენ დღევანდელ ქართულ ლიტერატურულ პრესაში, ცალკე წიგნებად გამოდის მათი ნაწარმოებები. ბევრი მათგანის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები ითარგმნება რუსულ და უცხო ენებზე.

ამ წრეში აღზრდილი ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოებებმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მოსკოვში. ასეთი შედეგებით წახალისებული უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას განაგრძობს. ამის დამადასტურებელია „პირველი სხივის“ საიუბილეო კრებული, რომელშიც ცნობილი ახალგაზრდა მწერლების გვერდით მონაწილეობენ დამწყები ავტორებიც.

ახალგაზრდა მწერალთა წრის არსებობის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ლიტერატურული საღამო გაიმართა პარასკევს, 1959 წლის 24 აპრილს, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.

საზეიმოდ მორთულ სცენაზე ადგილებს იკავებენ უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი პროფ. ს. ჟღენტი, უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ჭანუყვაძე, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის პირველი მდივანი—პოეტი ირ. აბაშიძე, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივანი—კრიტიკოსი ბ. ჟღენტი, აკად. გ. ახვლედიანი, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის დაარსების ინიციატორი აკად. ნ. კეცხოველი, საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. თ. ბადურაშვილი, პროფ. მ. ზანდუკელი, პოეტი ი. ნონეშვილი, ახალგაზრდა მწერალთა წრის ხელმძღვანელი, დოც. ტ. კვანჭილაშვილი, დოც. ი. ბოცვაძე, საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. დ. დათუაშვილი, მწერალი დ. შენგელაია, ქუთაისის ა. ს. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ახალგაზრდა შემოქმედთა წრის ხელმძღვანელი ს. მეტრეველი, უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის მდივანი ამხ. ა. სანებლიძე, ახალგაზრდა მწერალთა წრის ყოფილი და ახალი წევრები.

საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა დოც. ტარიელ კვანჭილაშვილმა.

მოხსენება—უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე ათი წლის მანძილზე—წაიკითხა წრის ხელმძღვანელმა ბ. ჟღენტმა. მომხსენებელმა ილაპარაკა ახალგაზრდა მწერალთა წრის ისტორიაზე და მის ახალ ამოცანებზე.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მისალმება უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრისადმი წაიკითხა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. თ. ბადურაშვილმა. მან ახალგაზრდა მწერალთა წრეს გადასცა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი.

საღამოზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით—პოეტი ი. ნონეშვილი, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციის სახელით—ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ვ. ჭელიძე, აკად. გ. ახვლედიანი, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სახელით—უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი პროფ. ს. ჟღენტი, ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ახალგაზრდა შემოქმედთა წრის სახელით—წრის ხელმძღვანელი ს. მეტრეველი, უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელით—ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ზ. მეძველია.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილის პრორექტორის თანაშემწემ ამხ. ნ. კიკვაძემ გამოაქვეყნა რექტორის ბრძანება, რომლითაც ახალგაზრდა მწერალთა წრის შემოქმედებითი მუშაობის უნარიანი და ნაყოფიერი ხელმძღვანელობისათვის მადლობა გამოეცხადათ ახალგაზრდა მწერალთა წრის დაარსების ინიციატორს — აკად. ნ. კეცხოველს, წრის ხელმძღვანელებს — დოც. ბ. ჟღენტს და დოც. ტ. კვანჭილაშვილს, აგრეთვე „პირველი სხივის“ საიუბილეო (5 — 6) ტომის ყველა მონაწილეს.

მეორე განყოფილებაში თავიანთი პოეტური ნაწარმოებები წაიკითხეს წრის ყოფილმა და ახალმა წევრებმა—არჩილ სულაკაურმა, აკაკი გეწაძემ, ნელი გაბრიჩიძემ, ნოდარ დუმბაძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ეთერ ბასილაშვილმა, ნოდარ გურეშიძემ, ჯანსუღ ნიქაბაძემ, ლიანა სტურუამ, თამარ ჯავახიშვილმა, ემზარ კვიტაიშვილმა, ალაზა ხაიაურმა, რევაზ ამაშუკელმა, იზოლდა ორჯონიკიძემ და გოგი ჩარკვიანმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.



უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის არსებობის 10-წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ლიტერატურული საღამოს მეორე განყოფილებაში თავიანთი პოეტური ნაწარმოებების კითხვით გამოვიდნენ წრის ყოფილი და ახალი წევრები.

სურათზე: უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის ყოფილი წევრი, პოეტი ნოდარ დუმბაძე კითხულობს საკუთარ ლექსს.



სურათზე: (მარჯვნიდან მარცხნივ) — უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის დაარსების ინიციატორი აკად. ნ. კეცხოველი; წრის ხელმძღვანელი, საქ. სსრ მწერალთა კავშირის მდივანი, დოც. ბ. ჟღენტი; მწერალი დ. შენგელაია; საქ. სსრ მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, პოეტი ირ. აბაშიძე; უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის ხელმძღვანელი, დოც. ტ. კვანჭილაშვილი; წრის ყოფილი წევრები—ახალგაზრდა პოეტი ჯ. ჩარკვიანი, მთარგმნელი ვ. შახულოვი და ახალგაზრდა პოეტი ო. ჭილაძე უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის არსებობის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ლიტერატურულ საღამოზე.

ფოტოები ა. გეგეჯიანისა

# ლიტერატურული გვერდი

1948 წელს საქართველოში რუსეთიდან მუდმივ საცხოვრებლად ჩამოვიდა ქვემოთ დაბეჭდილი ლექსების ავტორი—სერგი სერებრიაკოვი, რომელმაც მაშინ ქართული ენა სრულებით არ იცოდა, მაგრამ კარგად ფლობდა უცხო ენებს—ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს.

საერთოდ, ს. სერებრიაკოვი ენების შესწავლის დიდი უნარითაა დაჯილდოებული და, აი, მან გადაწყვიტა შეესწავლა ქართული ენაც, რაც კიდეც განახორციელა.

მას შემდეგ, ამ თერთმეტი წლის განმავლობაში, მან დაამთავრა ჯერ ჩვენი უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, ხოლო შემდეგ ასპირანტურის კურსი ძველი ქართული ენის კათედრასთან.

სერგი სერებრიაკოვი ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი მუშაკია, მის ძირითად სამუშაოს შეადგენს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის ტყაოსნის“ ახალი რუსული ბწკარედის შედგენა და გამოსაცემად გამზადება. გარდა ამისა, იგი რუსულ ენაზე თარგმნის ქართველ მწერალთა პოეტურ ქმნილებებს.

ამ ხნის მანძილზე სერგი სერებრიაკოვმა ქართული ენა უბრალოდ კი არ შეისწავლა, რომ სამეცნიერო ლიტერატურით სარგებლობა შეძლებოდა, არამედ ბრწყინვალედაც დაეუფლა სასაუბრო ენას, ყველა მის ფონეტიკურსა და მორფოლოგიურ თავისებურებებს, ხოლო ბოლოს თავისი პოეტური ნიმუშებიც ამ მისთვის ახალ ენაზე შექმნა.

ასე, რომ, ქვემოთ დაბეჭდილი ლექსები თარგმანი კი არა, ორიგინალია, დაწერილი იმ კაცის მიერ, რომელმაც ამ 10—11 წლის წინ სრულიადაც არ იცოდა ქართული ენა.

**სერგი სერებრიაკოვი**

## მთაწმინდაზე

მთაწმინდისკენ
რა ლამაზი აღმართია,
აქ მზის ჩასვლას
მე რამდენჯერ ვესალმები,
მის ბინადართ
უკვდავება დანათლიათ
და ამაყად
აზიდულან მისი ქვები.
იქ კი, ბარში,
თბილი გულის ქალაქია
და ქადრებზე
ეღურტულებენ ბეღურები.

აქ მივლია მარტოცა და
შენთან ერთად,
აქ უსაზღვრო
გულის სითბო შემძენია...
თუ წარსულში
ერთმა ღმერთმა შეგვაერთა,
ამჟამად კი
მიზეზები რამდენია:
აქ ხამარე მოუნახავს
ვაჟას ძვლებსაც,
ეს ქვეყანა
რუსთაველის გამჩენია.

აქ მხიბლავდა
მარმარილოს თეთრი რიდე,
ვაჟას ხავსი
სახთუმალთან აქაც ედო.
ჰავჰავაძის ძეგლს ვუცქერდით
კიდევ, კიდევ,
და როდესაც
შემჩივლებდი—წავიდეთო,
ტატოს მხრიდან ჩავყვებოდით
ლამაზ კიბეს
და კვლავ დიდხანს
გულს ვუთმობდით გრიბოედოვს.

ო, ამ ძეგლმა
გონების და სიყვარულის
ჩემი ფიქრი
უამრავჯერ შეიფარა,
შენ შეგატყვე
წინანდლელი ქალის გული
და მე ვნატრობ
შემიყვარო ნინოს დარად:
მან ხომ აგერ,
ასზე მეტი გაზაფხული
უცხო მოყმის
სიყვარულში გაატარა.

## რას გვიჩურჩულებს მტკვარი

რას ჩასჩურჩულებს მტკვარი
მშობლიურ ქალაქს მძინარს?
მისთვის, ახლა რაც არი,
იგივ ყოფილა წინათ.

კოცნის კოცონი ცხელი
ენთო ძველადაც, მაშინ...
მოდი, კვლავ მომე ხელი,
ხედავ?—მთვარეა მტკვარში.

წამოზიდული მაღლა
ჩუმად ისვენებს ხიდი,
ნელი ჩურჩულით ტალღა
მასთან მოდის და მიდის.

მხოლოდ ჩვენ არა გვძინავს,
მდინარესა და მთვარეს...
ასე ყოფილა წინათ,
მას გვიჩურჩულებს მტკვარი.

* * *

სილამაზემ ამამღერა
მზის და მიწის
და მშვენებამ
სიყვარულიც შემასწავლა,
ყოველი ხე
ნაყოფსავსე ტოტებს მიწვდის,
ამ ბარაქას
ვერ ამადლი მკლავის დაღლას.

აქ ყანებსაც
უხარიათ შენი მისვლა,
ერთი ათად გაიხარებს,
რასაც დარგავ.
სიამაყით
ხელს ულვაშზე გადაისვამ,
რომ მიწაში
ერთ მარცვალსაც არ დაჰკარგავ.

ეს ველები,
ეს მთები და მთების მიღმაც
შენგან უნდა
ითესოს და გაილეწოს,
ბარაქას კი
ქორწილში და ლხინში იხმარ,
რომ სიცოცხლე
სიყვარულად გაილექსოს.

აქ სიმაღლეს
მიითვლიან უშბას მთიდან —
ზეცასთან და
მზესთან უფრო ახლო ვართო,
პოეზიას —
რუსთაველის ბწკარებიდან
და შეხვედრას
ეძახიან — გაგიმარჯოთ!

აქ სიხარულს
დიდხანს არც კი ელოდები,
ყველას, ყველას
აუვსია მისით მკერდი.
სადღეგრძელოს
ნაბიჯ-ნაბიჯ ელობები,
მეგობრობას
გადმოდიან ალავერდით.

დაილოცოს,
შენი მადლი დაილოცოს,
ჩემს რუსულ გულს,
ჩემს წრფელ სიტყვას მიენდევი,
მიყვარს, როცა
ჩემს რუსეთში მოთოვს, მოთოვს,
და ასევე
გაზაფხული მხიბლავს შენი.

## მრავალჟამიერ

და როცა გაზაფხულია,
გზას იმოკლებენ ურმულით,
სიმღერას სიყვარულიანს
არ დაგანატრებს ბულბული,
(მე ვიცი თქვენებურია
ეს საოცარი სულდგმულიც).

ძარღვში სისხლივით ისხმება
სიმღერა მრავალხმიანი,
ვით თქვენიანი, ისე ვარ
აქ, სხვა მხრის ადამიანი.

გულს მახვედრებენ მზისხელას
და სუფრას ბეჭებგანიერს,
დაჯაბნე ყველა სიმღერა,
ქართულო მრავალჟამიერ!

ამაყო ირმის ყელივით,
ავად ვის მოაგონდები,
გულქეთილ მასპინძელივით
ფეხზე დამდგარან ოდები.

ლხინისთვის თუ მემეტები
უნაკლოდ სავსე დოქივით,
ეგ გულზვიადი ქედები
წყაროს პირს ჩამოჩოქილი,

ახლად დალევას აცდითო, —
მუხლი მოდრიკეს წამიერ,
რომ მერე მთებში აგზიდონ,
ქართულო მრავალჟამიერ.

* * *

შენ პატარა,
პაწაწინა,
ხვიარა ხარ,
ზეცას უმზერ,
შუქს დაეძებ მისას თითქოს,
მარტოდ-მარტო
ცაში იცი რომ ვერ ახვალ
და სულ ცდილობ
მაღალ ტოტებს მოეჭიდო,
იცი, გჯერა,
სადღაც შენი წილი სითბო
მზესაც თურმე გულში ახლავს.

## აკაკი შანიძეს

გამიმხელია სათქმელი,
დღემდეც რად დამიფარია?
თან ახლავს შენი ნათელი,
შენივე მადლის ბრალია,

რომ მარგალიტი უებრო,
ხელი-ხელ საგოგმანები,
შენ შემასწავლე ეს ენა,
შენ შემიხსენი კარები
და გამაცანი ქვეყანა
სავსე მზითა და დარებით

და როცა მინდა ქართული
სტრიქონში გამოსადნობად,
შეამჩნევ, ყველგან დართული
არის შენდამი მადლობა.

# განმანაწილებელი კომისიის წინაშე

ჩატარდა მიმდინარე სასწავლო წელს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილება.

წლევანდელი განაწილება ჩატარდა უფრო ორგანიზებულად, ვიდრე გასულ წლებში.

ასპირანტურაში საკონკურსო გამოცდების ჩასაბარებლად ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოებმა რეკომენდაცია მისცეს 14 სტუდენტს, რომლებიც უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გამოირჩეოდნენ წარჩინებული სწავლით, საუკეთესო ყოფაქცევით და საზოგადოებრივი დავალებების სანიმუშო შესრულებით. 67 საუკეთესო სპეციალისტი იმუშავებს რესპუბლიკის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში. პედაგოგიურ სამუშაოებზე განაწილდა 329 კურსდამთავრებული, მათ შორის ბევრია სწავლის ფრიადოსანი და საზოგადოებრივი მუშაობის აქტივისტი.

ახალგაზრდა სპეციალისტთა უმრავლესობამ სამუშაოზე განაწილების დროს გამოავლინა მაღალი მორალურ-პოლიტიკური შეგნება, მაღალი პატრიოტული გრძნობა—უყოყმანოდ და სიხარულით დათანხმდა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში სამუშაოდ წასვლაზე.

ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა—თამარ ათაულაშვილმა, ეთერ ზაპერტოვამ, გრიგოლ კუპატაძემ, ალექსი მიქელაძემ, ვაჟა ჯოჯუამ და მრავალმა სხვამ სურვილი გამოთქვეს ჩვენი რესპუბლიკის რაიონების სკოლებში ფიზიკის მასწავლებლებად წასულიყვნენ.

მაგრამ სამწუხაროა იმის აღნიშვნა, რომ ზოგიერთი კურსდამთავრებული უმადური აღმოჩნდა. განაწილების დროს ისინი წუწუნებდნენ, არ ერიდებოდნენ თავიანთი თავისა და მშობლების დამამცირებელი საბუთების უსირცხვილოდ მოტანას, ოღონდ, როგორმე რაიონებში სამუშაოდ წასვლას გადარჩენოდნენ.

განმანაწილებელი კომისიის წინაშე დგას ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, კომკავშირელი ლერი ალექსანდრეს ძე მიქაძე. მას წინადადება მისცეს რაიონში წასულიყო სამუშაოდ. ამის გაგონებაზე მიქაძემ უტიფრად განაცხადა: რას მიქვია რაიონი! მე ჯერ თბილისიდან არასოდეს არ გავსულვარ და რაიონში, ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიცხოვროვო. შეკითხვაზე, აქვს თუ არა მას ამას გარდა რაიმე სხვა გასამართლებელი საბუთიც, მიქაძემ გაუწითლებლად მიუგო: ხომ გითხარით, არ შემიძლია თბილისის დატოვებაო.

საწყენია, რომ ასეთმა „სტუდენტმა“ უნივერსიტეტი დაამთავრა, სამწუხაროა, რომ იგი წევრია ლენინური კომკავშირისა, რომლის რიგებში აღზრდილი ჭაბუკები და ქალიშვილები გმირობისა და შრომის სასწაულებს ახდენდნენ და ახდენენ.

ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული გულნარა ქარცივაძეც, რომელმაც კომისიას განუცხადა დედას მომვლელი არა ჰყავს, მე უნდა ვუპატრონო და ამიტომ თბილისიდან ფეხს ვერსად გავადგამო. შეკითხვაზე, მუშაობს თუ არა დედამისი, მან ტყუილის თქმა ველარ მოახერხა და აღიარა, რომ დედა თბილისის ერთ-ერთ სკოლაში მუშაობს ისტორიის მასწავლებლად და, მაშასადამე, მას მომვლელიც არ ესაჭიროება.

ფიზიკოსმა ქეთევან ცოფურაშვილმა კომისიას განუცხადა: იმ პირობით წავალ საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის საშუალო სკოლაში მასწავლებლად, თუკი ყოველდღიურად, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, საშუალება მექნება თბილისში დავბრუნდეო.

ცუდად მოიქცა განმანაწილებელი კომისიის წინაშე ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ვლადიმერ ტურიაშვილი. ჯერ მან რაიონში სამუშაოდ წასვლა იუკადრისა, შემდეგ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში დატოვების თანხმობაზეც არ მოაწერა ხელი, ხოლო როცა უთხრეს, რომ ასეთი საქციელისათვის იგი უნივერსიტეტიდან გარიცხვის ღირსია, ირონიულად გაიცინა, სტუდენტის ბილეთი კომისიის თავმჯდომარის მაგიდაზე დადო და კაბინეტიდან „გაბრაზებული“ გავიდა.

რაიონებში სამუშაოდ წასვლაზე უარი განაცხადეს ფიზიკოსმა რ. გრიგორიანმა, ეკონომისტებმა—ლ. კვასხვაძემ, თ. კოზლოვამ, ლ. პიტაიშვილმა. რაიონებში განაწილებისაგან თავის არიდებას შეეცადნენ ზოგიერთი სხვა ფაკულტეტების კურსდამთავრებულებიც.

კურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილების შედეგების შესახებ ამ დღეებში საკითხი განიხილა უნივერსიტეტის პარტიულმა კომიტეტმა და აღნიშნულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებანი დასახა. პარტიული კომიტეტის დადგენილებით დაევალათ ფაკულტეტების დეკანატებს, პარტიულსა და კომკავშირულ ორგანიზაციებს გადამჭრით გააუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტებს შორის. ამასთან, კომკავშირის კომიტეტს დაევალა განიხილოს იმ კომკავშირელთა საკითხი, რომლებიც უარს აცხადებენ სამუშაოზე წასვლაზე.

**ბ. კუტუბიძე**

# წიგნი ეკონომიური კრიზისების შესახებ

მოძღვრება კაპიტალისტური კვლავწარმოებისა და ეკონომიური კრიზისების შესახებ მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური თეორიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ეს თეორია, რომელსაც 100 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს იქმნებოდა ბურჟუაზიული ანტიმეცნიერული თეორიების წინააღმდეგ ბრძოლაში, იგი აშიშვლებდა და აშიშვლებს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ შეურიგებელ წინააღმდეგობებს და ცხადყოფს მისი რევოლუციური დამხობის აუცილებლობას.

კრიზისების მარქსისტულ-ლენინური თეორია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, როდესაც დრომოჭმული კაპიტალიზმის აპოლოგეტები, მშრომელი მასების თვალის ახვევის მიზნით, თხზავენ სხვადასხვა „თეორიებს“ იმის შესახებ, თითქოს თანამედროვე კაპიტალიზმში მოხდა ძლიერი ცვლილებები და შეიქმნა ახალი „სახალხო კაპიტალიზმი“ „დემოკრატიული კაპიტალი“, რომელმაც თითქოს განკურნა კაპიტალიზმი ისეთი თანდაყოლილი სენისაგან, როგორიც არის კრიზისები, უმუშევრობა, მშრომელთა ექსპლოატაცია, ჩაგვრა და დაპყრობითი ომები.

უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტის ვ. ი. მელქაძის ნაშრომში „ეკონომიური კრიზისები კაპიტალიზმის განუყრელი თანამგზავრია“ (რედაქტორი დოც. რ. წულუკიძე) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებზე დაყრდნობით მეცნიერულ-პოპულარულად გადმოცემულია ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისების არსი და მისი მოქმედების გაძლიერება იმპერიალიზმის ეპოქაში. ამასთან, ავტორი სათანადო ციფრობრივ-ფაქტობრივი მასალების ჩვენებით იძლევა ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისების საკითხებზე თანამედროვე ბურჟუაზიული აპოლოგეტიკის კრიტიკას.

ნაშრომი შედგება ორი განყოფილებისაგან: პირველ განყოფილებაში გადმოცემულია კრიზისების შესახებ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხები — სამრეწველო ციკლი და მისი ფაზები; კრიზისების ბურჟუაზიული აპოლოგეტი—

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

# სტუმრად კიეველ მეგობრებთან

უსაზღვროდ სასიხარულო იყო, როცა ტ. შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მიწვევით XVI საუნივერსიტეტო კონფერენციაზე კიევს გაემგზავრა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გეოგრაფ-გეოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი გურამ ლონდაძე, ფიზიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი ილია ტოკვი და ამ წერილის ავტორი.

კონფერენცია, რომლის მუშაობაში უნდა მიგვეღო მონაწილეობა, მიძღვნილი იყო სკკპ XXI ყრილობისა და კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 125 წლისთავისადმი. ჩვენ, თბილისის უნივერსიტეტის წარგზავნილები, სხვადასხვა სპეციალობისანი ვიყავით, მაგრამ მისწრაფება სამივეს ერთი გვქონდა—რაც შეიძლებოდა კარგად წარვმდგარიყავით კიეველთა წინაშე.

3 აპრილს უკვე უკრაინის დედაქალაქში ვიყავით. კიეველმა მეგობრებმა გულთბილად მიგვიღეს. კონფერენცია 4 აპრილს იხსნებოდა. ერთი დღე ჩვენს განკარგულებაში იყო და, რადგან ჩვენ სამივე პირველად ვიყავით კიევში, ვჩქარობდით მალე დაგვეთვალიერებინა მისი ღირსშესანიშნაობანი, ისტორიული ადგილები, ყველაზე უფრო ადრე კი ქალაქის ულამაზესი პროსპექტი—კრეშჩატიკი.

ყველა ქალაქს აქვს თავისი სათაყვანებელი ქუჩა. ასეთია კრეშჩატიკიც კიევისათვის. აქ, ამ ქუჩაზე, მუდამ ზღვა ხალხია. კრეშჩატიკი თავისი ლამაზი ბულვარებით თამამად გაუწევს მეტოქეობას ყველა ქალაქის ლამაზ ქუჩებს...

4 აპრილს კიევის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიხსნა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის პლენარული სხდომა. სხდომის დამთავრების შემდეგ გვიჩვენეს რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომლებიც სტუდენტთა ძალებით იყო გადაღებული. განსაკუთრებით მოსაწონი იყო ორნაწილიანი ფილმი „ფუტკრების ცეკვა“. ყველა ფილმი ოსტატობით იყო გადაღებული, იგრძნობოდა სტუდენტების შრომისმოყვარეობა.

5 აპრილი კვირა დღე იყო. ჩვენც თავისუფალი ვიყავით და სტუმართმოყვარე მასპინძლებმა ქალაქში საექსკურსიოდ მიგვიწვიეს. ჩვენი ექსკურსიის თემა ასეთი იყო—„უძველესი კიევიდან სოციალისტურ კიევამდე“. ყველანი (კიევში სხვა უნივერსიტეტებიდანაც იყვნენ ჩამოსული სტუმრები) ვსხდებით ავტობუსებში და მივემგზავრებით ქალაქის იმ უბანში, სადაც დასაბამი მიეცა შემდგომში „რუსული ქალაქების დედას“—კიევს.

IX საუკუნის ძველი რუსული სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად კიევი ხდება ამ სახელმწიფოს დედაქალაქი. X—XI საუკუნეებში კიევის რუსეთი გამოდის საერთაშორისო არენაზე, როგორც ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო. ამ ძველმა რუსულმა სახელმწიფომ თავისი აყვავების მწვერვალს მიაღწია ვლადიმირისა (978—1015) და მისი შვილის იაროსლავ ბრძენის (1019—1054) მთავრობის დროს. ამ ეპოქას განეკუთვნება ყველაზე ადრეული არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც დღემდეა შემონახული რუსეთის დიდ ქალაქებში (მათ შორის კიევშიც).

ვათვალიერებთ იმ ადგილს, სადაც ვლადიმირის მიერ აშენებული იქნა პირველი ქვის ტაძარი მთელს რუსეთში ე. წ. „Десятинная церковь“ (ასეთი სახელწოდება ამ ტაძარმა იმიტომ მიიღო, რომ ვლადიმირი თავისი შემოსავლის მეათედს მის სასარგებლოდ სდებდა). რუსული არქიტექტურის ეს უძველესი ძეგლი, რომელიც X საუკუნეში იქნა აგებული (989—99 წწ.), მონღოლებმა დაანგრიეს 1240 წ., დღეისათვის კი მხოლოდ კონტურებია ცნობილი იმ დიდი შენობისა.

ვინახულეთ წმინდა სოფიოს ტაძარი, რომელიც აგებულია იაროსლავ ბრძენის მთავრობის დროს. მრავალი წლის განმავლობაში წმ. სოფიოს ტაძარი მთავართა და მიტროპოლიტთა სამარხი იყო. 1054 წ. აქ დაასაფლავეს იაროსლავ ბრძენი, რომლის 8-ტონიანი მარმარილოს საცხედრე, ორნამენტით შემკული, დღესაც ამავე ტაძარში ინახება. აქვეა დასაფლავებული იაროსლავის შვილი ვსევოლოდი, ვლადიმერ მონომახი (1125 წ.) და სხვ.

წმ. სოფიოს ტაძარი ძველი რუსული არქიტექტურული ხელოვნების შედევრად ითვლება.

ვინახულეთ პეჩერის ლავრა—პირველი მონასტერი, რომელიც XI ს. იქნა დაარსებული. აქ, ამ მონასტერში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი მემატიანე ნესტორი, ავტორი ნაშრომისა „Повесть временных лет“.

1926 წელს პეჩერის ლავრა მუზეუმად გადაკეთდა და დღეს მას ათასობით მნახველი ათვალიერებს.

ექსკურსიის გამყოლი რელიეფურად გადმოგვცემს დედაქალაქის წარსულსა და მას კიევის აწმყოს უპირისპირებს; გვიჩვენებს მრავალ შესანიშნავ ნაგებობას, რომლებიც დიდი სამამულო ომის შემდეგ იქნა აგებული. ქუდმოხდილები მივდივართ კიევის დამცველი გმირების საფლავზე. აქ აღმართულია მაღალი ობელისკი, რომლის ძირშიც მუდმივად გიზგიზებს კოცონი—სამშობლოსათვის დაღუპული გმირების უკვდავების სიმბოლო. აქ, ამ უკვდავ გმირთა დიდებულ პანთეონში განისვენებს ერთი ქართველი ვაჟკაცი საბჭოთა კავშირის გმირი გ. გოგიჩაიშვილი.

ექსკურსია ჩვენზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მცირე შესვენების შემდეგ ვბრუნდებით უნივერსიტეტში, სადაც ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებმა მიგვიწვიეს დასვენების საღამოზე. საღამო IV კურსის სტუდენტების ინიციატივით ტარდებოდა. წარმოდგენილი იქნა მონტაჟი „კომკავშირის გმირული გზა“. მოეწყო მრავალგვარი თამაშობანი, ცეკვები.

6 აპრილს მუშაობა დაიწყო ცალკეულ სექციებში.

საინტერესოდ წარიმართა ისტორიის სექციის სხდომები. კონფერენციაზე სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან სტუმრად ჩამოსულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს თავიანთი მოხსენებები. განსაკუთრებით საინტერესო იყო ლენინგრადის უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტის ნ. მალცევის მოხსენება — „კრეტის კერამიკა“. იგი იხილავდა იმ კოლექციას, რომელიც ერმიტაჟში ინახებოდა. მომხსენებელმა შექლო ამ მასალის დამუშავება. ასევე საინტერესო იყო ხარკოვის უნივერსიტეტის V კ. სტუდენტის ვ. ტოკმანის მოხსენება „ჩერნიგოვის არქეოლოგიური გათხრების შესახებ“. საინტერესო მოხსენებები იქნა წაკითხული არქეოლოგიაში თვითონ კიეველი სტუდენტების მიერაც. საერთოდ უნდა ითქვას, რომ არქეოლოგიის სამეცნიერო წრე კიევში ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს. თვითონ სტუდენტებიც დიდად არიან დაინტერესებულნი ამ საქმით.

ჩემი მოხსენება „ხელოსნური წარმოება XI—XIII სს. თბილისში“ 7 აპრილს წავიკითხე. კონფერენციის მონაწილეები დაინტერესდნენ აღნიშნული ხანის თბილისის ხელოსნობით. თემა შეაფასეს დოც. ვ. ა. ქებოკრიცკიმ და V კურსის სტუდენტმა ლ. ცვეკმა.

საინტერესოდ იქნა წაკითხული და მაღალი შეფასება დაიმსახურეს გ. ლონდაძისა და ი. ტოკვის მოხსენებებმა („გორაგრაკლის რაიონის გეოლოგიური შესწავლისათვის“ და „არქეოლოგიური ძეგლების დათარიღება ფიზიკური მეთოდით“) ჩვენი სამივე მოხსენება დაჯილდოებულ იქნა კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატისა და სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს სიგელებით.

10 აპრილს კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა.

კონფერენციის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი მაღალ დონეზე იქნა ჩატარებული. სწორედ იქ, კიევში, საშუალება მოგვეცა შევხვედროდით ერთმანეთს სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტები, გვესაუბრა ერთმანეთთან, გაგვეზიარებინა აზრები ერთმანეთისათვის, ერთი სიტყვით, დავმეგობრებულიყავით.

11 აპრილს მასპინძლებმა გამოსამშვიდობებელი ბანკეტი გაგვიმართეს. იმავე საღამოს ჩვენ დავტოვეთ კიევის უნივერსიტეტი, ახლად გაცნობილი მრავალრიცხოვანი მეგობრები და მდიდარი შთაბეჭდილებებით დატვირთული მშობლიურ უნივერსიტეტს დავუბრუნდით.

**როზინ მეტრეველი**

# წიგნი ეკონომიური კრიზისების შესახებ

(დასასრული)

კის შესახებ; კრიზისების მოკლე ისტორია; კრიზისების მიზეზები და სხვა. ავტორს დახასიათებული აქვს წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და წარმოების შედეგთა მითვისების კაპიტალისტურ ფორმას შორის, რომელიც წარმოადგენს კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობას და, ამასთან, კრიზისების ძირითად მიზეზს. ავტორი ვრცლად არჩევს ამ წინააღმდეგობის რაობას და მისი გამოვლენის ფორმებს.

წიგნის მეორე განყოფილება მიძღვნილია თანამედროვე ეტაპზე კაპიტალისტური ციკლის მოძრაობის საკითხებისადმი. აქ ავტორს გარჩეული აქვს ციკლის განვითარების ტენდენცია და მისი მოძრაობა ომისშემდგომ პერიოდში. აქვე იძლევა კრიზისების შესახებ თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკას. ავტორს წიგნის ამ განყოფილებებში დახასიათებული აქვს კაპიტალისტური წარმოების ზრდის ფაქტორები და კრიზისის გარდუვალობა, რაც ხორციელდება ეკონომიკის მილიტარიზაციით, საგარეო ექსპანსიით, ძირითადი კაპიტალის განახლებით და მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერებით.

სათანადო ფაქტობრივ—ციფრობრივი მასალებით ავტორი ასკვნის, რომ თანამედროვე პირობებში სულ უფრო მწვავდება კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა, რომლის გამოვლინების ფორმათა ერთობლიობა აღრმავებს წინააღმდეგობას წარმოების ზრდის მაშტაბსა და გადახდისუნარიანი მოთხოვნის ვიწრო ბაზას შორის, გარდუვალად ამზადებს პერიოდული ეკონომიური კრიზისების ახალ აფეთქებას.

დოც. ვ. მელქაძის აღნიშნული წიგნი ამ დღეებში გაარჩია უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრამ. წიგნის შესახებ მოხსენება გააკეთა დოც. მ. მერცხულავამ. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: პროფესორებმა — ს. ბერაძემ, ნ. ტყეშელაშვილმა, დოცენტებმა — გ. მანჯგალაძემ, ნ. ხურცილაძემ, შ. მელაძემ, გ. ადეიშვილმა და ასპირანტმა ჩადუნელმა. ბოლოს ავტორმა, ამხ. მელქაძემ უპასუხა დასმულ კითხვებზე და გამოთქვა თავისი აზრი ზოგიერთი შენიშვნის შესახებ.

კათედრამ მოიწონა დოც. ვ. მელქაძის დასახელებული წიგნი და აღნიშნა, რომ იგი წარმოადგენს ქართულ ენაზე ორიგინალურ მეცნიერულ-პოპულარულ ნაშრომს, რომელიც კარგ სარგებლობას მოუტანს სტუდენტებსა და მასში განხილული საკითხებით დაინტერესებულ პირებს. ამასთან, სურვილი გამოითქვა და რჩევა მიეცა ავტორს, რათა გაითვალისწინოს კათედრის წევრთა საქმიანი შენიშვნები, შეავსოს ნაშრომი ახალი მასალებით და გამოსცეს იგი უფრო ვრცლად.

**ვ. ჩიხლაძე**

## [illegible]



**სურათზე:** ფიზიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები (მარჯვნიდან მარცხნივ) — გ. თედიაშვილი და ვ. კოპალეიშვილი ოპტიკურ ლაბორატორიაში მუშაობის დროს.



**სურათზე:** ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების პირველკურსელი სტუდენტები (მარცხნიდან მარჯვნივ) — მარინე ვაჩნაძე და მაყვალა კოქლავაშვილი კავკასიურ ენათა კაბინეტში ამზადებენ სასემინარო თემას ახალ ქართულ ენაში.

ფოტოები: ა. გემჯიანისა

## იუმორი

ა. ანტონოვ-ტონიჩი

### განსაკუთრებული შემთხვევა

გიმნაზიის ერთ-ერთ კლასში შევიდა ინსპექტორი. მოწაფეები მათემატიკაში ვარჯიშობდნენ.

— გთხოვთ, გამოიძახოთ სამი საუკეთესო მოსწავლე, — მიმართა ინსპექტორმა მასწავლებელს, — მე მინდა შევამოწმო მათი ცოდნა არითმეტიკაში.

დაფასთან მივიდა ერთი მოწაფე. მან სწრაფად ამოხსნა თავისი ამოცანა და მერხს დაუბრუნდა:

გამოვიდა მესამე და იგი რამდენადმე შემკრთალი დადგა დაფასთან, მაგრამ როცა აიღო ცარცი და მოემზადა ამოცანის ამოსახსნელად, ინსპექტორმა შეამჩნია, რომ ეს სრულებითაც არაა მესამე მოწაფე, არამედ იგივეა, დაფასთან პირველი რომ გავიდა.

— თქვენ გინდათ მე მომატყუოთ! — დაუყვირა მას ინსპექტორმა — თქვენ ეს ამოცანა ერთხელ უკვე ამოხსენით. რატომ გამოხვედით მეორეჯერ?

მოწაფემ დამნაშავედ გაიღიმა და თქვა:

— მაპატიეთ, პატივცემულო ინსპექტორო, მაგრამ ამჯამად მე ნამდვილად გამოვდივარ მეორე მოსწავლის მაგივრად...

— მეორის მაგივრად!—გაცხარდა ინსპექტორი. — ეს უმსგავსოებაა, როგორსაც მე პირველად ვხედავ...

მოწაფემ შეწუხებულმა თავი ჩაჰკიდა. მთელი კლასი გაინაბა მოლოდინში, რომ, აი, ახლა მოხდება რაღაც ცუდი.

— ვის მაგივრად გამოხვედით დაფასთან?—იკითხა კვლავ ინსპექტორმა, უკვე სერიოზულად განრისხებულმა.

— ჩემი საუკეთესო მეგობრის მაგივრად, რომელიც წავიდა მატჩზე.

მაშინ კი ინსპექტორი წამოიწია მაგიდიდან და მოსთხოვა განმარტება მასწავლებელს.

— თქვენ კი, ამხანაგო მასწავლებელო, თქვენ როგორ უშვებთ ამას? თქვენ იცოდით, რომ ეს მოსწავლე დაფასთან უკვე გამოვიდა ერთხელ... და თქვენ მაინც მშვიდად უყურებდით მის ცდას მოვეტყუებინე მე?!

მასწავლებელი გაწითლდა და შეშფოთებით იწყო თავის მართლება:

— მაპატიეთ, ამხანაგო ინსპექტორო, მაგრამ მე ჯერ კიდევ არ ვიცნობ ყველა მოსწავლეს.

ინსპექტორი გაოცებული თვალებით მიაშტერდა მას.

— განა ეს შესაძლებელია!—წამოიძახა მან.—მასწავლებელი და არ იცნობს თავის მოწაფეებს!

— მაგრამ მე არ ვასწავლი ამ კლასს.

— მაშინ რატომღა ხართ თქვენ აქ?

— ვცვლი მათ მასწავლებელს, რომელიც წავიდა მატჩზე.

ინსპექტორის სახეზე გაირბინა ოდნავ შეკავებულმა ღიმილმა. მან თავი გააქნია, გაჩუმდა და ხელი ჩაიქნია.

— ბედი თქვენი, რომ მეც ვცვლი ჩემს კოლეგა დრიანკოვს, რომელიც ასევე წავიდა მატჩზე... თუ არ ეს, მე ვიქნებოდი გაცილებით მკაცრი და თქვენ ასე ადვილად ვერ გადამირჩებოდით.

თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ**

რედაქტორი **ირ. ვეშაპიძე**

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2-28-34.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 1500. უე 02808.

ბიბლიოთეკა